

პ. შოთაძის სახელობის სამედიცინო აკადემია

*ხელნაწერის უფლებებით*

ნინო ფურცელაძე

ესენციური ჰიპერტენზიის მკურნალობის  
ეფექტურობა დაბალი სისწირის ცვლადი  
მაგნიტური ველით

დისერტაცია წარდგენილია დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად მედიცინაში

თბილისი – 2006 წელი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია

შპს. "თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი –

საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციისა  
და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრ"-ში

სამეცნიერო ხელმძღვანელი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი  
ი. თარხან-მოურავი

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი  
მ. ტაბიძე

## სარჩევი

შემოკლებათა ჩამონათვალი . . . . .	4
შესავალი . . . . .	5
თავი I. ლიტერატურის ანალიტიკური მიმოხილვა . . . . .	10
1.1. ფიზიკური ფაქტორების გამოყენება ესენციური ჰიპერტენზიის სამკურნალოდ . . . . .	10
თავი II. მასალა, გამოკვლევის და მკურნალობის მეთოდები . . . . .	22
2.1. მასალა, გამოკვლევის მეთოდები . . . . .	22
2.2. მკურნალობის მეთოდები . . . . .	26
თავი III. საკუთარი კვლევები . . . . .	29
3.1. გამოკვლეულ ავადმყოფთა კლინიკური დახასიათება . . . . .	29
3.2. დაბალი სისხლის ცვლადი მაგნიტური ველის ზეგავლენა ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფთა კლინიკურ მდგომარეობაზე . . . . .	32
3.3. დაბალი სისხლის ცვლადი მაგნიტური ველის ზეგავლენა ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფთა კარდიოჰემოდინამიკის მანევრებლებზე . . . . .	38
3.4. დაბალი სისხლის ცვლადი მაგნიტური ველის ზეგავლენა ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფთა გარეგანი სუნთქვის ფუნქციის მანევრებლებზე . . . . .	58
3.5 დაბალი სისხლის ცვლადი მაგნიტური ველის ზეგავლენა ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფთა ველოერგომეტრიულ მანევრებლებზე . . . . .	71
3.6. დაბალი სისხლის ცვლადი მაგნიტური ველის ზეგავლენა ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფთა ბიოქიმიურ მანევრებლებზე . . . . .	79
3.7 დაბალი სისხლის ცვლადი მაგნიტური ველით ზეგავლენა ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფთა მკურნალობის უშუალო და შორეული შედეგები . . . . .	86
3.8. პრეპარატ ენალაპრილით მკურნალობის ზეგავლენა ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფთა სუბიექტურ და ობიექტურ მანევრებლებზე . . . . .	93
მიღებული შედეგების ანალიზი . . . . .	105
დასკვნები . . . . .	112
პრაქტიკული რეკომენდაციები . . . . .	114
გამოყენებული ლიტერატურის სია . . . . .	115

## შემოკლებათა ჩამონათვალი:

- აბს. - აბსოლუტური
- აწ - არტერიული წნევა
- გზს - გულის შეკუმშვათა სიხშირე
- დაწ - დიასტოლური არტერიული წნევა
- მგ - მაგნიტური ველი
- მმგ - მუდმივი მაგნიტური ველი
- მტლ. - მილიტესლა
- O<sub>2</sub> შთ - ჟანგბადის შთანთქმა წუთში
- %% - პროცენტებში
- საწ - სისტოლური არტერიული წნევა
- სმ - სუნთქვითი მოცულობა
- სს - სუნთქვის სიხშირე
- სწმ - სუნთქვითი წუთმოცულობა
- ფმგ - ფილტვების მაქსიმალური ვენტილაცია
- ფსმ - ფილტვის სასიცოცხლო მოცულობა
- ცვმ - ცვლადი მაგნიტური ველი

## შესავალი

### პრობლემის აქტუალობა

ესენციური ჰიპერტენზია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. აღინიშნება ავადმყოფთა რიცხვის განუხრელი ზრდა და პათოლოგიის დამძიმების ტენდენცია. მიუხედავად დღეისთვის არსებულ სამკურნალო საშუალებების მრავალრიცხოვნებისა, ამ დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობა და გართულებები ყოველწლიურად იზრდება [214, 203, 30, 31, 11, 194].

ზემოსხნებულიდან გამომდინარე ნათელი ხდება აღნიშნული პათოლოგიის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის ახალი ეფექტური სამკურნალო საშუალებების ძიების აუცილებლობა. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს ფიზიოთერაპიული ფაქტორები, რომელთაც ნაკლებად გააჩნიათ მედიკამენტებისათვის დამახასიათებელი უარყოფითი თვისებები. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება დაბალი სიხშირის ცვლადი მაგნიტური ველი.

მიუხედავად მრავალწლიანი, მრავალრიცხოვანი გამოკვლევებისა, რომლებიც ეხება ორგანიზმზე ცვლადი მაგნიტური ველის ბიოლოგიური და სამკურნალო ზემოქმედების შესწავლას, დღემდე, ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფებზე ცვლადი მაგნიტური ველის მოქმედების მექანიზმი პრაქტიკულად არ არის შესწავლილი. [176, 42, 183].

ერთეული გამოკვლევებით დადგენილია დაბალი სიხშირის (50 ჰც) და 40-75 მტლ ინდუქციის მქონე ცვლადი მაგნიტური ველის ჰიპოტენზიური მოქმედება [200, 134]. ამავდროულად აღნიშნული გამოკვლევები არ ხსნიან ამ ჰიპოტენზიური მოქმედების მექანიზმს. დღეისათვის სამკურნალო მიზნებისათვის ფართოდ გამოიყენება პორტატული აპარატურა, რომელიც გენერირებს 50 ჰც სიხშირის და 30 მტლ და 10 მტლ ინდუქციის ცვლად მაგნიტურ ველს.

ამ აპარატურის ზომები და მეთოდის სიმარტივე საშუალებას იძლევა აღნიშნული ფიზიოთერაპიული მეთოდი გამოყენებული იქნას ყოველგვარ პირობებში [136, 87, 89].

ზემოთქმულმა ვითარებამ განაპირობა ჩვენი ინტერესი შეგვესწავლა 50 ჰც სიხშირისა და 30 მტლ და 10 მტლ ინდუქციის მქონე ცვლადი მაგნიტური ველის სამკურნალოდ გამოყენების შესაძლებლობა ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფთა სამკურნალოდ.

## კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი – დაბალი სისწირის ცვლადი მაგნიტური ველებით (50 ჰც სისწირის და 30 მტლ და 10 მტლ ინდუქციით) მკურნალობის ეფექტურობის დადგენა ესენციური ჰიპერტენზიის I და II სტადიის მქონე ავადმყოფებზე და ამ სამკურნალო მოქმედების მექანიზმის ძირითადი მხარეების ასხნა აღნიშნული პათოლოგიის დროს.

კვლევა ისახება შემდეგ ამოცანებს:

ა. 50 ჰც სისწირის და 30 მტლ ინდუქციის დაბალი სისწირის ცვლადი მაგნიტური ველის ზემოქმედების შესწავლა ესენციური ჰიპერტენზიის I და II სტადიის მქონე ავადმყოფთა კლინიკურ მდგომარეობაზე, კარდიოჰემოდინამიკაზე, გარეგანი სუნთქვის ფუნქციაზე, ველოერგომეტრიაზე, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვაზე, ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ დაცვაზე და ლიპიდურ ცვლაზე.

ბ. 50 ჰც სისწირის და 30 მტლ ინდუქციის დაბალი სისწირის ცვლადი მაგნიტური ველის გამოყენების ეფექტურობის დადგენა აღნიშნული პათოლოგიის დროს, მკურნალობის უშუალო და შორეული შედეგების შესწავლის საფუძველზე.

გ. 50 ჰც სისწირის და 10 მტლ ინდუქციის დაბალი სისწირის ცვლადი მაგნიტური ველის ზემოქმედების შესწავლა ესენციური ჰიპერტენზიის I და II სტადიის მქონე ავადმყოფთა კლინიკურ მდგომარეობაზე, კარდიოჰემოდინამიკაზე, გარეგანი სუნთქვის ფუნქციაზე, ველოერგომეტრიაზე, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვაზე, ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ დაცვაზე და ლიპიდურ ცვლაზე.

დ. 50 ჰც სისწირის და 30 მტლ ინდუქციის დაბალი სისწირის ცვლადი მაგნიტური ველის გამოყენების ეფექტურობის დადგენა აღნიშნული პათოლოგიის დროს, მკურნალობის უშუალო და შორეული შედეგების შესწავლის საფუძველზე.

ე. ესენციური ჰიპერტენზიის I და II სტადიის მქონე ავადმყოფებში პრეპარატ ენალაპრილ H-ით მკურნალობის ზემოქმედების შესწავლა კლინიკურ მდგომარეობაზე, კარდიოჰემოდინამიკაზე, გარეგანი სუნთქვის ფუნქციაზე, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვაზე, ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ დაცვაზე, ლიპიდურ ცვლაზე.

ვ. პრეპარატ ენალაპრილ H-ით მკურნალობის ეფექტურობის დადგენა აღნიშნული პათოლოგიის მქონე ავადმყოფებში მკურნალობის უშუალო და შორეული შედეგების შესწავლის საფუძველზე.

ზ. 50 ჰგ სისშირის და 30 მტლ და 10 მტლ ინდუქციის დაბალი სისშირის ცვლადი მაგნიტური ველის გამოყენების დიფერენციალური მეთოდის შემუშავება ესენციური ჰიპერტენზიის I და II სტადიის მქონე ავადმყოფთა მკურნალობისთვის.

### ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ჩვენს მიერ პირველად იქნა დადგენილი 50 ჰგ სისშირის და 30 მტლ და 10 მტლ ინდუქციის მქონე ცვლადი მაგნიტური ველების მოქმედება ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფებზე.

დადგენილი იქნა, რომ აღნიშნული მაგნიტური ველით მკურნალობა მანორმალიზებლად მოქმედებს ცენტრალურ და პერიფერიულ ჰემოდინამიკაზე; თრგუნავს ლიპიდების ზეჟანგურ ჟანგვას; აძლიერებს ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ დაცვას; აუმჯობესებს გარეგანი სუნთქვის ფუნქციას, ლიპიდების ცვლას და კლინიკურ მდგომარეობას; ამაღლებს ტოლერანტობას ფიზიკური დატვირთვისადმი, – ავლენს რა გამოხატულ დადებით ზემოქმედებას ესენციური ჰიპერტენზიის I და II სტადიის მქონე ავადმყოფებზე. ეს დადებითი პროცესი მცირდება პათოლოგიის დამძიმებისა და დაბალი სისშირის ცვლადი მაგნიტური ველის ინდუქციის დაქვეითებისას.

ნატარებული კვლევების საფუძველზე ჩვენს მიერ პირველად იქნა შემუშავებული ესენციური ჰიპერტენზიის I და II სტადიის მქონე ავადმყოფთა ცვლადი მაგნიტური ველით (სისშირით 50 ჰგ და ინდუქციით 30 მტლ) მეცნიერულად დასაბუთებული მკურნალობის მეთოდიკა.

### ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნატარებული კვლევის შედეგებმა საშუალება მოგვცა პრაქტიკული მეთოდისათვის მიგვეწოდებინა ესენციური ჰიპერტენზიის მკურნალობის ახალი



ეფექტური მეთოდი – აღნიშნული პათოლოგიის მკურნალობა დაბალი სისწორის (50 პც) და 30 მტლ ინდექსის ცვლადი მაგნიტური ველით.

ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტურია ესენციური ჰიპერტენზიის I და II სტადიის დროს.

პროცედურების ჩატარების სიმარტივე, ხელმისაწვდომობა, სიაფე და მაღალეფექტურობა საშუალებას გვაძლევს რეკომენდაცია გაეწიოს აღნიშნული ფიზიოთერაპიული მეთოდის დანერგვას საქართველოს ყველა სამკურნალო – პროფილაქტიკურ დაწესებულებაში.

### კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვა

კვლევის შედეგების პრაქტიკაში დასანერგად ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა მეთოდური რეკომენდაციები „ესენციური ჰიპერტენზიის მკურნალობა ცვლადი მაგნიტური ველით“.

ეს რეკომენდაციები მოწონებული იქნა კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო – პრაქტიკული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2004 წლის 3 თებერვალს (ოქმი №1) და დამტკიცებული იქნა ამ ცენტრის დირექტორის მოადგილის სამეცნიერო დარგში, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის მ. ტაბიძის მიერ 2004 წლის 15 თებერვალს.

აღნიშნული მეთოდური რეკომენდაციები დაინერგა შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი – საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში“.

### აპრობაცია და პუბლიკაციები

დისერტაციის აპრობაცია შედგა 2006 წლის 26 დეკემბერს შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი – საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრის“ და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომას შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის



კურორტოლოგიის დეპარტამენტის მეცნიერ - მუშაკების გაერთიანებულ სხდომაზე.

დისერტაციის ძირითადი მასალები მოხსენებული და განხილულია საერთაშორისო კონფერენციაზე „სამედიცინო რეაბილიტაცია და რაიტეერაპია“ 2006 წლის 22 ივნისს თბილისში და საქართველოს კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა საზოგადოების სხდომაზე 2007 წლის 15 მარტს, ქ. თბილისში.

დისერტაციის თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია 6 შრომა, მათგან 4 – საერთაშორისო და 2 – რესპუბლიკურ გამოცემებში.

## თავი I. ლიტერატურის ანალიტიკური მიმოხილვა

### 1.1. ესენციური ჰიპერტენზიის მკურნალობა ფიზიკური ფაქტორებით

არტერიული ჰიპერტენზია ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს შორის.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში აღნიშნული პათოლოგიის გავრცელების შედარებით ჩანს, რომ ინდუსტრიულად განვითარებულ ევროპის ქვეყნებში, ასევე აშშ-ში, იაპონიასა, ჩინეთსა და რუსეთში ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. სისხლის არტერიული წნევის მომატება რეგისტრირდება მოსახლეობის 20-30% -ში.

აღინიშნება ამ პათოლოგიით დაავადებულთა რაოდენობის, პირველადი ინვალიდიზაციის და გართულებებით გამოწვეული სიკვდილიანობის დონის ზრდა. [33, 193, 205, 207, 186, 189, 116].

არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელება საქართველოში 1997 წელს 100000 მოსახლეზე შეადგენდა 1189,1, 1998 წელს – 1422,1, ხოლო 1999 წელს – 1422,1 შემთხვევას (ა. გამყრელიძე, თ. ვასაძე და სხვ., 2000).

არტერიული ჰიპერტენზიის მქონე პირების 95%-ში ვლინდება ესენციური ჰიპერტენზია (ჰიპერტონული დაავადება) [133, 191, 106, 130].

საქართველოში ესენციური ჰიპერტენზიით ავადობა გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიათა ავადობის სტრუქტურაში 2004 წელს შეადგენდა 49,6%-ს, ხოლო 2001 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 24,8%-ს. [11].

დადგენილია, რომ ესენციური ჰიპერტენზიის განვითარების და პროგრესირების ხელშემწყობი ფაქტორებია ხშირი ფსიქოემოციური გადაძაბვა, ასაკი, სუფრის მარილის და ალკოჰოლის გაზრდილი მოხმარება, ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესი და ჭარბი წონა [55, 59, 44, 156].

ესენციურ ჰიპერტენზიას უკავია ერთ-ერთი პირველი ადგილი ზოგადი სიკვდილიანობის სტრუქტურაში. [115, 163, 57].

ყველა ზემოაღნიშნული მოწმობს გამოყენებული სამკურნალო საშუალებების არასაკმარის ეფექტურობას და აუცილებლობას, გამოიძენოს ამ პათოლოგიის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის ახალი, უფრო მოქმედი საშუალებები.

აღნიშნული პათოლოგიის მედიკამენტოზური მკურნალობა უმეტეს შემთხვევაში მოითხოვს პრეპარატების მაქსიმალური დოზების გამოყენებას,

ხშირად ეს იწვევს რეზისტენტობის განვითარებას მკურნალობის მიმართ და უარყოფით გვერდით მოვლენებს.

კომპლექსურ მკურნალობაში ფიზიკური ფაქტორების ჩართვა მნიშვნელოვნად ამცირებს მისაღები პრეპარატების რაოდენობას და ზრდის მკურნალობის ეფექტურობას [153, 98].

ფიზიკური სამკურნალო საშუალებების გამოყენებისას მხედველობაშია მისაღები ესენციური ჰიპერტენზიის განვითარების და პროგრესირების სხვადასხვა რგოლი.

ამიტომ, აღნიშნული პათოლოგიის დროს უნდა გამოიყენოთ ისეთი ფიზიკური ფაქტორები, რომელთა მოქმედება მიმართული იქნება:

ა. ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური მდგომარეობისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ვეგეტატიური და ჰუმორული რეგულაციის გაუმჯობესების და სისხლის მიმოქცევის სისტემაში თვითრეგულაციის პროცესების ნორმალიზაციისაკენ, რაც გამოიწვევს არტერიული წნევის დაქვეითებას;

ბ. ჰემოდინამიკის გაუმჯობესებისა, მიოკარდიუმის ჰიპერფუნქციის დაქვეითებისა და მისი შეკუმშვისუნარიანობის ზრდისაკენ;

გ. ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევების კორექციისაკენ;

დ. თირკმლებში სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებისაკენ;

ე. სხვადასხვა გარეგან გამლიზიანებლებზე ორგანიზმის ადაპტაციური შესაძლებლობების ზრდისაკენ [34, 145].

ფიზიკური სამკურნალო ფაქტორები, რომლებიც, როგორც წესი, გამოიყენება I და II სტადიის ესენციური ჰიპერტენზიის დროს, მკვლევართა მიერ [137, 187, 144, 61] პირობითად დაყოფილია 4 ჯგუფად:

1. ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ნეიროჰემოდინამიკურ პროცესებზე მოქმედების მქონენი;

2. პერიფერიული ვაზოდეპრესორული მექანიზმების (სინოკაროტიდული ზონა, მსხვილი სისხლძარღვების ბარორეცეპტორები, მოსაზღვრე რგოლის სიმპატიკური განგლიები) მასტიმულირებელნი;

3. თირკმლის სისხლის მიმოქცევის გამაუმჯობესებელი და თირკმლის სისხლძარღვოვანი წინააღმდეგობის დამაქვეითებელნი;

4. ორგანიზმზე ზოგადად და უპირატესად დაავადების ჰემოდინამიკურ რგოლზე მოქმედების მქონენი.

ცნს-ზე მომქმედი I ჯგუფის ფაქტორებს მიეკუთვნება ელექტროძილი და წამლისმიერი ელექტროფორეზი.

ელექტროძილით მკურნალობისას ძირითადად იყენებენ მუდმივ დენს, სწორკუთხოვანი იმპულსებით.

ელექტროძილის მეთოდიკით ესენციური ჰიპერტენზიის სამკურნალოდ იყენებენ სხვადასხვა სახის დენებს: სინუსოიდურ დენს ფაზის გადანაცვლებით 90<sup>0</sup>-ზე; ეგრეთ წოდებულ წრიულ დენს, მისთვის დამახასიათებელი ნაკლებ გამაღიზიანებელი მოქმედებით ნერვულ სტრუქტურებზე სწორკუთხოვანი იმპულსების მუდმივ დენთან შედარებით, ინტერფერენციულ დენს და სხვ.

ყველა ტიპის დენებისთვის გამოყენების წინააღმდეგჩვენებებია: კანისა და თვალის ღორწოვანი გარსების დაავადებები, მძიმე გლავუკომა, კატარაქტა, ესენციური ჰიპერტენზიის კრიზული მიმდინარეობა.

ასთენიური სინდრომით მიმდინარე ესენციური ჰიპერტენზიის სამკურნალოდ გამოიყენება ანოდური გაღვანური საყელო ა.ე. შერბაკის მეთოდიკით. ამ ფიზიოთერაპიული მეთოდიკის უკუჩვენებას წარმოადგენს აღნიშნული პათოლოგიის კრიზული მიმდინარეობა.

ესენციური ჰიპერტენზიის სამკურნალოდ ფართოდ იყენებენ წამლისმიერ ელექტროფორეზს, სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატების გამოყენებით, რომელთა არჩევა დამოკიდებულია პათოლოგიის კლინიკურ თავისებურებებზე.

თავის ტკივილის და თავბრუსხვევის დროს იყენებენ მაგნიუმის სულფატის 5%-იან, პაპავერინის 2%-იან, ეუფილინის 2%-იან, ნოვოკაინის 2%-იან ხსნარებს.

ჰიპოტენზიური მოქმედების მიზნით იყენებენ ჰექსონიუმის 2%-იან ხსნარს ან განგლერონის 1,5%-იან ხსნარს, თანმხლები ცერებრალური ათეროსკლეროზის შემთხვევაში კალიუმის იოდიდის 5%-იან ხსნარს. სედატიური ეფექტის მისაღებად იყენებენ ელექტროფორეზს ნატრიუმის ან კალიუმის ბრომიდის 5-10%-იან ხსნარებით.

მეორე ჯგუფის ფაქტორებს, რომლებიც იწვევენ პერიფერიული ვაზოპრესული მექანიზმების სტიმულაციას, მიეკუთვნება ულტრამაღალი სიხშირის ელექტრული ველი და დიადინამიური დენები, რომელთაც იყენებენ სინოკარტიდულ ზონაზე ზემოქმედების მიზნით.

მოცემული მეთოდით ზემოქმედებისას, აღნიშნული ფიზიოთერაპიული ფაქტორები აუმჯობესებენ სინოკარტიდული ზონის რეცეპტორების და თავის ტვინის ქერქქვეშა კვანძების ფუნქციურ მდგომარეობას; იწვევენ ცერებრალური

ჰემოდინამიკის ნორმალიზაციას, არტერიული წნევის დაქვეითებას, რიგ შემთხვევაში ნორმალიზაციასაც კი.

მესამე ჯგუფის ფაქტორებს, რომლებიც მოქმედებენ თირკმლის ჰემოდინამიკაზე და აქვეითებენ თირკმლის სისხლძარღვოვან წინააღმდეგობას, მიეკუთვნებიან ინდუქტორთაგან, დეცემპტრული დიაპაზონის ტალღების ელექტრომაგნიტური ველი, ულტრაბგერა, გალვანიზაცია, სინუსოიდური მოდულირებული დენები.

ინდუქტორთაგან, ულტრაბგერის, გალვანიზაციის და სინუსოიდური მოდულირებული დენების გამოყენებისას შემოქმედება ხდება თირკმლების საპროექციო არეზე.

დეცემპტრული დიაპაზონის ტალღების ელექტრომაგნიტური ველით მკურნალობისას ასხივებენ ხერხემლის წელის არეს (Tx-Lm).

მეოთხე ჯგუფის ფაქტორებს, რომლებიც უმეტესად მოქმედებენ გულის შეკუმშვის ფუნქციაზე, პერიფერიულ ცენტრალურ და რეგიონალურ ჰემოდინამიკაზე, არბილებენ ფუნქციურ დარღვევებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში და მანორმალიზებლად მოქმედებენ ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემის ფუნქციურ მდგომარეობაზე, არტერიული წნევის რეგულაციის ნეიროჰუმორულ და პორმონულ რეგულაციაზე, ეკუთვნიან: იოდბრომელი, აზოტოვანი, ჟანგბადის და ზღვის აბაზანები; მტკნარი წყლის ან ზღვის წყლის წიწვოვანი აბაზანები; რადონული, სულფიდური, ნახშირორჟანგიანი მინერალური წყლის აბაზანები, რომელთა მიღება ნებადართულია მხოლოდ თავის ტვინის ქერქში გაწონასწორებული ნერვული პროცესების შემთხვევაში; თბილი, დაბალი წნევის შხაპები, ცირკულარული შხაპი, წყალქვეშა მასაჟი; მშრალი და სველი შეფუთვები; სუფთა ჰაერზე ძილი; ჰაერის აბაზანები და ზღვაში ბანაობა კომფორტის ზონაში.

როგორც შემოაღნიშნულიდან ჩანს, არცერთ ფიზიოთერაპიულ ჯგუფში, რომელთაც იყენებენ ესენციური ჰიპერტენზიის სამკურნალოდ, მაგნიტოთერაპია არ არის შესული.

მაგნიტოთერაპია – ეს არის მეთოდი, როდესაც ორგანიზმზე მოქმედებს დაბალი სიხშირის მუდმივი ან ცვლადი მაგნიტური ველი.

მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველებისგან განსხვავებით, დაბალი სიხშირის მაგნიტურ ველს პრაქტიკულად არ ახლავს სითბური ეფექტების წარმოქმნა.

მაგნიტური ველი წარმოადგენს მატერიის განსაკუთრებულ სახეს, რომლის მეშვეობითაც ხდება ურთიერთქმედება მოძრავ ელექტრულ მუხტებს შორის ე.ი. შესაბამისი დენებით გამტარში ან არაკომპენსირებული მოლეკულური დენებით მუდმივ მაგნიტებს.

გრაფიკულად მაგნიტურ ველს გამოხატავენ ძალხაზებით, რომლებიც წარმოქმნიან სივრცეში ჩაკეტილ კონტურებს.

ნივთიერების მაგნიტური თვისება ხასიათდება განვლადობით. ორგანიზმის ქსოვილთა და გარემოთა უმრავლესობა თავისი თვისებებით მიეკუთვნება დია- ან პარამაგნიტებს. მათი მაგნიტური განვლადობა რამდენადმე ნაკლებია 1-ზე დიამაგნეტიკებისთვის და 1-ზე მეტია პარამაგნიტებისთვის. ფერომაგნიტებისთვის მაგნიტური განვლადობა საგრძნობლად მეტია 1-ზე; რაც განაპირობებს ფერომაგნეტიკებთან მაგნიტური ველის ურთიერთქმედების ენერგიის ზრდას, პარა- და დიამაგნეტიკებთან შედარებით.

ფიზიოთერაპიაში იყენებენ მუდმივ, პულსირებად და ცვლად მაგნიტურ ველებს, წყვეტილ და უწყვეტ რეჟიმში. წყვეტილი მაგნიტური ველის მცნება უახლოვდება იმპულსური მაგნიტურ ველის მცნებას.

წყაროს ირგვლივ მაგნიტური ველის განაწილება სივრცეში ხასიათდება არაერთგვაროვნებით, რომელიც იზომება გრადიენტით, ანუ ველის სიდიდის ცვლილებით მანძილის 1 სმ-ით ცვლილებისას.

მაგნიტური ველის მოქმედების პირველადი ბიოლოგიური მექანიზმები განისაზღვრება მისი ბიოტროპული პარამეტრებით – მაგნიტური ველის ისეთი ფიზიკური მახასიათებლებით, როგორცაა ამ ველის ინტენსივობა, გრადიენტი, ვექტორი, სიხშირე, იმპულსის ფორმა და ექსპოზიციის ხანგრძლივობა.

ამასთან ერთად იმ ფაქტორების რიცხვს, რომლებიც განსაზღვრავენ საპასუხო რეაქციებს, მიეკუთვნებიან მაგნიტური ველის ორგანიზმზე ზემოქმედების ისეთი მახასიათებლები, როგორცაა ზემოქმედების ლოკალიზაცია, ქსოვილების მოცულობა, რომელზეც ზემოქმედებს მაგნიტური ველი, ასევე ორგანიზმის საწყისი მდგომარეობა.

მაგნიტური ველის მოქმედების ფიზიო-ქიმიური მექანიზმები მეტწილად განსაზღვრავენ მის სამკურნალო ეფექტს. მუდმივ მაგნიტურ ველში ადამიანის ქსოვილების უჯრედშიდა კომპონენტებზე მოქმედებს მექანიკური ძალა, რომელიც ხელს უწყობს დიამაგნეტიკის ველიდან გამოძევებას და პარამაგნეტიკის ველში მიზიდვას.

0,01-1 ტესლა ინდუქციის მუდმივ მაგნიტურ ველში, თხევადკრისტალურ სტრუქტურებში აღინიშნება მაგნიტო-მექანიკური ეფექტები.

თხევადკრისტალური მდგომარეობა დამახასიათებელია ბიოლოგიური მემბრანების ლიპიდური კომპონენტებისთვის და მის ცვლილებებს ცვლადი მაგნიტური ველის ზემოქმედებისას შეუძლია განსაზღვროს რიგი ფერმენტების აქტივობის დონე (აცეტილქოლინესტერაზა,  $Na^+$  - დამოკიდებული და  $K^+$  - დამოკიდებული AT - ფაზა) და მეორადად შეცვალოს უჯრედული მემბრანის განვლადობა.

მუდმივი მაგნიტური ველის ადგილობრივი ფიზიოლოგიური მოქმედება განსაზღვრავს უჯრედის ციტოპლაზმის კოლოიდების ფაზურ გელ-ზოლ გადასვლებს.

მაგნიტური ველის ცოცხალ ქსოვილთან ურთიერთქმედების ერთ-ერთ წამყვან მექანიზმს წარმოადგენს ელექტრომაგნიტური ძალის მიმართვა. სისხლძარღვში ამ ძალის მიმართვისას, გადანაცვლებადობის და გამტარობის ელექტროდენების ზემოქმედებას განიცდიან სისხლის უჯრედული და არაუჯრედული კომპონენტები, რომლებიც გადაკვეთენ ძალხაზებს.

ფიზიოლოგიური პროცესების სისწრაფის რეგულაციაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოცულობით ელექტრომუხტებს, რომელთა ფორმირება ხდება ბიომემბრანულ და პრემემბრანულ არეებში. მათი წარმოქმნა განპირობებულია მემბრანების შერწყვითი გამტარობით კათიონებისა და ანიონებისათვის, რასაც მოსდევს დადებითი და უარყოფითი მუხტების არათანაბარი განაწილება პრემემბრანულ არეებში. მაგნიტური ველის ზემოქმედებით ხდება მიკროსკოპული მოცულობითი მუხტების გაწოვა და მათი ელექტრული ენერჯის გადასვლა მექანიკურში, რომელსაც შეუძლია რეაგენტების მიწოდება მემბრანებისთვის და რეაქციის ზონებისთვის, ასევე შეცვალოს ბაიერების სისქე და იმოქმედოს მოცულობითი პროცესების სინქარგზე და მიმართულებაზე. მოცულობით მუხტებზე ზემოქმედება იზრდება მაგნიტური ველის სისწირის მატებასთან ერთად.

მოცულობით ელექტრულ მუხტებზე მაგნიტური ველის ზემოქმედება ხორციელდება ცოცხალი სისტემების ენერჯის ხარჯზე, რომელიც გროვდება ბიოლოგიურ მემბრანებში მიმდინარე მუხტების გაყოფის ელექტროქიმიური რეაქციების მსვლელობისას. მაგნიტური ველი უზრუნველყოფს ამ ენერჯის უტილიზაციის შესაძლებლობას ცოცხალი უჯრედის პრემემბრანულ სივრცეებში მიმდინარე რიგი ფიზიოქიმიური პროცესების დროს.

მაგნიტური ველი ახდენს აქტიურ ზეგავლენას ზოგიერთ ქიმიურ რეაქციებზე. ქიმიური რეაქციების მიმდინარეობისას ხორციელდება ელექტრონული გადასვლები, რომლებიც ემორჩილებიან კვანტური მექანიკის კანონებს. მაგნიტურ ველებს შეუძლიათ ელექტრონული გადასვლების შეცვლა და ამ გზით გაეღწესოს მოხდენა ქიმიური რეაქციების სინქარეზე. მაგნიტურ ველში განიცდიან ცვლილებებს რიგი მეტალების მონაწილეობით (რკინა, სპილენძი, მანგანუმი და სხვა) მიმდინარე ქიმიური რეაქციები, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი უკავიათ ნატიური ბიოსტრუქტურების მშენებლობაში.

მაგნიტური ველის ზეგავლენით იცვლება სხვადასხვა ტიპის რადიკალთა ურთიერთდამოკიდებულება, რასაც მიეყვებათ ბიოლოგიურ მემბრანათა განვლადობის და უჯრედის ფიზიოლოგიური მდგომარეობის შეცვლასთან. ქიმიურ პროცესებზე მაგნიტური ველის მოქმედების მექანიზმში არსებითი შეიძლება იყოს ელექტრონის გადატანის გვირაბისებური ეფექტი, რომელიც რეალიზდება ზოგიერთ ბიოლოგიურ სტრუქტურებში, კერძოდ კი მიტოქონდრიებში. მაგნიტური ველის მოქმედებით ელექტრონის გვირაბისებური გადატანის საფუძველს წარმოადგენს ელექტრონული გადასვლების ალბათობის ცვლილებების მექანიზმი.

მაგნიტური ველის ზემოქმედებით წარმოქმნილი სუსტი ელექტრო-მამოძრავებელი ძალების მოქმედების მექანიზმში მნიშვნელოვანი როლი უკავია ესტაფეტური მექანიზმით პროტონების ტუნელურ გადატანას. ეს შეიძლება საფუძვლად ედოს მაგნიტური ველის მოქმედებას წყალბადის იონების ლოკალურ ცვლილებებზე, სისხლის შედეგებასა და მთელ რიგ ბიოლოგიურ პროცესებზე.

ქიმიური პროცესების შესწავლის შედეგად, პირველად იქნა გახსნილი მაგნიტური ველის მოქმედების არასითბური, კვანტურ-მექანიკური მექანიზმი ცოცხალ ორგანიზმზე.

მაგნიტური ველის ზემოქმედებისას, ორგანიზმის ორგანოების და სისტემების რეაქციებს საფუძვლად უდევს როგორც ადგილობრივი, ასევე ჰუმორალურ – რეფლექტორული მოქმედების მექანიზმი. მომქმედ ფაქტორთან ურთიერთობისას ქსოვილებში წარმოქმნილი ფიზიკო-ქიმიური ცვლილებების შედეგად, ადამიანის ორგანიზმში არ არის აღმოჩენილი მაგნიტური ველის მიმღები სპეციფიკური რეცეპტორები. თუმცა თავად ქსოვილების და უჯრედების ჰემოდინამიკის და მეტაბოლიზმის ცვლილებების შედეგად, რომლებიც გარს



აკრავს სხვადასხვა ტიპის რეცეპტორებს, შესაძლებელია მათი მოქმედების მოდულაცია.

ორგანიზმის რეაქციის გამოსატყულობის და მიმართულების ხასიათის ხარისხი ძირითადად დამოკიდებულია მაგნიტური ველის პარამეტრებზე. ასე მაგალითად, ცვლადი მაგნიტური ველის და იმპულსური მაგნიტური ველის გამოყენების ეფექტურობა მეტია, ვიდრე მუდმივი მაგნიტური ველისა. სხვა, ფართო გამოყენებაში მყოფ ფიზიოთერაპიულ ფაქტორებთან შედარებით, მაგნიტური ველები უფრო სუსტი გამდიზიანებლებია.

უმეტესი ფიზიოთერაპიული ფაქტორებისგან განსხვავებით, სისხლის მოძრავ ნაკადთან ურთიერთობა მაგნიტური ველის ბიოლოგიური მოქმედების სპეციფიკური მექანიზმია და თან ახლავს ჰემოსტაზის სისტემის მხრივ ცვლილებები. თუ მაგნიტური ველის ზემოქმედება სუსტია, მაშინ პირველად აღინიშნება ჰიპოკოაგულაციური ეფექტი. ბიოტროპული პარამეტრების ინტენსივობის და რიცხვის მატებისას აღინიშნება ჰიპერკოაგულაციის პირველადი ფაზა, რომელსაც 5-7 დღეზე მოსდევს სისხლის შედელების საწინააღმდეგო სისტემის აქტიუობის ზრდა. ზემოქმედების გაგრძელების შემთხვევაში აღინიშნება ჰემოსტაზის სისტემის ნორმალიზაცია, შემდგომი ტალღისებური ცვლილებით.

მაგნიტური ველის ზემოქმედებით ვითარდება თრომბოციტების ადფინდუცირებული აგრეგაციის სტიმულაცია და მათი ელექტროკინეტიკური პოტენციალის დაქვეითება. ამასთან, უჯრედებიდან გამოიყოფა ჰემოკოაგულაციის ფაქტორები და ფიბრინოლიზის დამორგუნველი შენაერთები. ერთორციტებში ასევე ქვეითდება უჯრედის ზედაპირული ელექტრული მუხტი და გამოიყოფა ანტიჰეპარინული ნაერთები და ფიბრინოლიზის ინჰიბიტორები.

მაგნიტურ ველში გავლისას იცვლება ლეიკოციტების და პირველ რიგში, ლიმფოციტებისა და ნეიტროფილების რეაქტიულობა. ასევე, მაგნიტური ველის ზემოქმედებით, ცვლილებებს განიცდის სისხლის უჯრედული შემადგენლობა. ეს პროცესი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ორგანიზმის საწყისი მდგომარეობით და ნეიტროფილური გარდაქმნების ხასიათით, რომლებიც წარმოიქმნება მაგნიტური ველის ზემოქმედებით.

20 მტლ ინდუქციის და 50 ჰც სიხშირის ცვლადი მაგნიტური ველით ზემოქმედებისას, ცხოველის მთელ ორგანიზმში და ენდოკრინულ სისტემაში ვითარდება ცვლილებები, რომლებიც გარკვეულწილად შეესაბამება სტრესის სურათს: ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის გადმოსროლა ჰიპოფიზიდან,

თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის გლუკოკორტიკოიდული ფუნქციის აქტივაცია, რასაც თან ახლავს სისხლში 11-ოქსიკორტიკოსტეროიდების დონის მატება. აღსანიშნავია, რომ ჰიპოფიზის ამოკვეთისას, 11-ოქსიკორტიკოსტეროიდების შემცველობა ცვლადი მაგნიტური ველის ზემოქმედებით არ იცვლებოდა. აღინიშნებოდა, ასევე, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის აქტივაცია. გარდა ამისა, პირველი დღე-ღამის განმავლობაში ხდებოდა თიმურ-ლიმფოციტური ქსოვილის დათრგუნვა და გაღიზიანება, რომელიც მაგნიტური ველის ხანგრძლივი ზემოქმედების პირობებში იცვლებოდა მისი აქტივაციით. კლინიკურ პირობებში მსგავსი რეაქციები არ აღინიშნება, რადგანაც ზემოქმედების ინტენსივობისა და ქსოვილთა მოცულობის შემცირება, რომლებიც ურთიერთქმედებენ მაგნიტურ ველთან, ან სხეულის პერიფერიულ ნაწილებზე ზემოქმედება არსებითად ცვლის ენდოკრინული გარდაქმნების ხასიათს და თან ახლავს თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის გლუკო- და მინერალოკორტიკოიდული ფუნქციის, ასევე ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის ნაკლებადგამოხატული აქტივაცია შედარებით მოგვიანებით პერიოდში (ზემოქმედების მე-5-7 დღე). სიმპატო-ადრენალური სისტემა მხოლოდ მცირედ აქტიურდება პირველი პროცედურის მიღების შემდეგ, ხოლო 7-9 პროცედურის შემდეგ ყალიბდება პერიფერიული ბეტა-ადრენორეცეპტორების შეკავება, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი უკავია ანტისტრესული ეფექტის ფორმირებაში.

ექსპერიმენტში მაგნიტური ველის ზემოქმედებისადმი საკმაოდ მგრძობიარეა იმუნოკომპეტენტური უჯრედები (თიმუსი, ელენთა, ლიმფური კვანძები). ამასთან ერთად, აღინიშნება იმუნოლოგიური რეაქტიულობის ფიზიოლოგიური მექანიზმების აქტივაცია და აუტოანტისხეულების დონის მომატება მთელ რიგ ორგანოების მიმართ.

კლინიკურ პირობებში, მაგნიტური ველის ზემოქმედება იწვევს კალიკრინ-კინინურ სისტემის, უჯრედოვანი და პუმორალური იმუნიტეტის მანქვენებლების ცვლილებებს.

ენდოკრინული გარდაქმნების ფორმირების მექანიზმში წამყვანი მარეგულირებელი და მაკოორდინირებელი როლი ენიჭება ნერვულ სისტემას. ნერვულ სისტემაზე მაგნიტური ველის ზემოქმედებას თან ახლავს მოქმედების შემდგომ პერიოდში სინქრონიზაციის დიფუზური ელექტროენცეფალოგრაფიული რეაქციის და შემკავებელი პროცესების განვითარება თავის ტვინის ქერქში.

მაგნიტური ველის მიმართ მგრძობილობით თავის ტვინის სტრუქტურები შემდეგი თანამიმდევრობით განლაგდება: ჰიპოთალამუსი, დიდი

ნახევარსფეროების ქერქი, თალამუსი, ჰიპოკამპი. გამოვლენილია ჰიპოფიზის მგრძობელობა სუსტი, მუდმივი მაგნიტური ველის მიმართ.

ნერვულ სისტემაზე მაგნიტური ველის მოქმედების მექანიზმში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სისხლძარღვთა სისტემის გლიურ უჯრედებს.

თავის არეზე მაგნიტური ველის ზემოქმედებისას ხდება ჰიპოთალამური ბირთვებისა და ჰიპოფიზის აქტივაცია. შედეგად აღინიშნება რიგი ენდოკრინული ჯირკვლების (ფარისებრი ჯირკვლის, თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის, სასქესო ჯირკვლების) აქტივაცია. მსგავსი რეაქცია აღინიშნება მხოლოდ ცნს-ზე მოქმედების ლოკალიზაციის დროს და ცვლადი მაგნიტური ველის წყვეტილ რეჟიმში გამოყენებისას.

მაგნიტური ველის ზემოქმედებისას უწყვეტ რეჟიმში, აღინიშნება ენდოკრინული ჯირკვლების ნაკლებად გამოსატული აქტივაცია, მაგრამ შესაძლებელია მეტად იყოს გამოსატული ცვლილებები მიკროცირკულაციური პროცესების და ქსოვილთა ტროფიკის მხრივ.

მკურნალობის პროცესში სხვადასხვა ლოკალიზაციების გამოყენება საშუალებას იძლევა მთლიანი ორგანიზმის როგორც ადგილობრივი, ასევე ზოგადი ადაპტაციური გარდაქმნების ოპტიმალურ რეგულირებას.

კლინიკურ პირობებში ნეიროენდოკრინული სისტემის, იმუნოლოგიური რეაქტიულობის და ორგანიზმის სხვადასხვა სისტემების მდგომარეობები მკიდრო ურთიერთკავშირშია იმ საერთო ადაპტაციური რეაქციების ფარგლებში, რომლებიც უაღიბდება მაგნიტური ველის ზემოქმედებით.

ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ნეირორეფლექტორულ და ჰუმორალურ მექანიზმებს. არსებობს ყველა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ თავისებური ტრიგერის და მაგნიტური ველის მიერ სისხლის ნაკადის მოძრაობაში შემოტანილი აღშფოთების გამტარის როლს ასრულებს ჰემოსტაზის სისტემა და მემბრანების და მემბრანების ირგვლივ მიდამოთა მუხტების ასიმეტრია, კერძოდ კი სისხლძარღვთა ენდოთელიუმის. სისხლძარღვთა ენდოთელიუმში ვითარდება პროსტაგლანდინების აქტიური სინთეზი. დადგენილია მაგნიტური ველის ანთების საწინააღმდეგო, შეშუპების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და ზოგიერთი ქსოვილების რეგენერაციის მასტიმულირებელი მოქმედება.

მაგნიტური ველის ანთების საწინააღმდეგო მოქმედება განსხვავდება სტეროიდების მოქმედებისაგან, რომლის ეფექტიც ეფუძნება ორგანიზმში გლუკოკორტიკოიდების დონის მატებას, შემდგომში ცვლილებებს უჯრედთა

მემბრანების სტაბილურობის, უჯრედშიდა მეტაბოლიზმის და იმუნოლოგიური რეაქტიულობის დათრგუნვის მხრივ.

მაგნიტური ველს ინტენსივობის დოზირებით, რომელიც მიღებულია კლინიკურ პირობებში, შეუძლია გამოიწვიოს თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი შრის გლუკოკორტიკოიდული, მინერალოკორტიკოიდული და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციების მხოლოდ მსუბუქი გააქტიურება. ამასთანავე მაგნიტური ველის მოქმედება ამადღებს იმუნოლოგიურ რეაქტიულობას და აძლიერებს მიკროცირკულაციას. წამყვანი როლი ამ გარდაქმნებში უკავია სისხლის შემადგეველ და კალიკრინ-კინინურ სისტემებში მიმდინარე ცვლილებებს. მაგნიტური ველის ადგილობრივმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მთლიანი ორგანიზმის საერთო ადაპტაციური გარდაქმნა და ანთების საწინააღმდეგო ეფექტები ზემოქმედებიდან დაშორებულ უბნებში.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს მაგნიტური ველის მოქმედების გარკვეული მსგავსება ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების მოქმედებასთან, ან მსგავსი იმისა, რომელსაც ავლენს ჰეპარინი და აცეტილსალიცილის მჟავა.

მაგნიტური ველის სამკურნალო მექანიზმში წამყვანი როლი უკავია მთლიანი ორგანიზმის ცენტრალურ და პერიფერიულ ნეიროენდოკრინულ რეგულაციის მექანიზმებს, გარდაქმნებს იმუნოლოგიურ რეაქტიულობასა და მიკროცირკულაციურ პროცესებში.

კისრის ოსტეოქონდროზის დროს ცვლადი მაგნიტური ველი ამცირებს ტკივილის სინდრომს კისრის ფესვების ინერვაციის ზონაში, ზრდის მოძრაობის მოცულობას ხერხემლის კისრის ნაწილში და ზედა კიდურებში.

მაგნიტოთერაპია ავლენს გამოხატულ სამკურნალო ეფექტს ვეგეტატიური ნერვული სისტემის დაავადებების დროს.

დადგენილია მაგნიტური ველის გამოხატული დადებითი მოქმედება დიაბეტური პოლინევიტების, ნევრიტების, გავა - წელის რადიკულიტების, ფანტომური ტკივილების დროს.

დადგენილია, მაგნიტური ველის თერაპიული მოქმედება გულის იშემიური დაავადების, მწვავე პნევმონიის გახანგრძლივებული მიმდინარეობის, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ბრონქული ასთმის დროს, ასევე საშვილოსნოს დანამატთა ანთებითი პროცესების, მასტიტების, თირკმელ-კენჭოვანი დაავადების, დიდი ღულოვანი ძვლების მოტეხილობებისას. [132, 3, 82, 42, 100, 148, 135].

აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ნაწილი [65, 151, 161] აღნიშნავს რა ცვლადი მაგნიტური ველის სამკურნალო ეფექტს, უარყოფს კლინიკურ პირობებში ანალოგიური ეფექტების აღმოცენებას მუდმივი მაგნიტური ველის გამოყენების დროს.

როგორც უკვე აღინიშნა, ერთეული გამოკვლევებით დადგენილია 50 ჰც სიხშირის და 40-75 მტლ ინდუქციის მაგნიტური ველის ჰიპოტენზიური ეფექტი. ამავე დროს ამ მოქმედების მექანიზმი პრაქტიკულად არ არის შესწავლილი [200, 135].

ამჟამად სამკურნალო მიზნებისთვის საკმაოდ ხშირად გამოიყენება პორტატული აპარატურა, რომელიც გენერირებს ცვლად მაგნიტურ ველს სიხშირით 50 ჰც და ინდუქციით 30 და 10 მტლ.

ამ აპარატის ზომები და გამოყენების სიმარტივე საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ აღნიშნული ფიზიოთერაპიული მეთოდი ნებისმიერ პირობებში [135, 87, 89].

ზემაღნიშნულმა გარემოებებმა გადაგვაწყვეტინა შეგვესწავლა 50 ჰც სიხშირის და 30 და 10 მტლ ინდუქციის ცვლადი მაგნიტური ველის ესენციური პიპერტენზიის სამკურნალოდ გამოყენების მიზანშეწონილობა.

## თავი II. მასალა, გამოკვლევის და მკურნალობის მეთოდები

### 2.1. მასალა, გამოკვლევის მეთოდები

2003-2006 წლებში ს.ს. “საქართველოს ი. კონიაშვილის სახ. კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის” (ამჟამად: შ.პ.ს. “თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი – საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი”) და პანსიონატ “ვეჯინი“-ს (გურჯაანის რაიონი) ბაზებზე გამოკვლეული იყო ესენციური ჰიპერტენზიის მქონე 22-64 წლამდე ასაკის 168 ავადმყოფი, რომლებიც მკურნალობის გამოყენებული მეთოდების მიხედვით დაყოფილი იყვნენ 3 ჯგუფად:

I ჯგუფი (I ძირითადი ჯგუფი) შეადგინა 68 ავადმყოფმა.

II ჯგუფი (II ძირითადი ჯგუფი) შეადგინა 58 ავადმყოფმა.

III ჯგუფი (საკონტროლო ჯგუფი) შეადგინა 42 ავადმყოფმა.

ავადმყოფებს, კლინიკური მდგომარეობის და ანამნეზის შესწავლის, სუბიექტურ შეგრძნებებზე, არტერიულ წნევაზე, სუნთქვისა და პულსის სისწირეზე ყოველდღიური დაკვირვებების ფონზე, მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ, საყოველთაოდ მიღებული მეთოდიკების გამოყენებით, უტარდებოდათ გამოკვლევები.

შესწავლილი იქნა:

ა. კარდიოჰემოდინამიკის მანევრებლები: პულსის სისწირე, სისხლის მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო დინამიური არტერიული წნევა; გულისა და დარტყმითი ინდექსები; სისხლძარღვთა წინაღმდეგობა; “ფილტვ-ყურის” მონაკვეთზე სისხლის ნაკადის მოძრაობის დრო (სინქარე); ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემები.

სისხლის საშუალო დინამიური არტერიული წნევა გამოითვლებოდა კარპმანის ფორმულით [51].

სისხლის წუმოცულობის განსასაზღვრავად გამოიყენებოდა ოქსიჰემომეტრული მეთოდი, გამოთვლები სრულდებოდა Fick-ის ფორმულით, გ. უშვერიძის (1967) მოდიფიკაციით.

გულის ინდექსი ითვლებოდა სისხლის წუმოცულობის სიდიდეებისა და დიუბუა, ბუთბის და სანდიფორდის ნომოგრამების მონაცემებით.

დარტყმითი ინდექსი გამოითვლება გულის ინდექსის გაყოფით გულის შეკუმშვის სისწირზე, რომელიც განისაზღვრებოდა ელექტროკარდიოგრაფიულად.

სისხლძარღვთა ხვედრითი პერიფერიული წინააღმდეგობა გამოითვლებოდა სისხლის საშუალო დინამიური არტერიული წნევისა და გულის ინდექსის სიდიდებით [68].

მაქსიმალური და მინიმალური არტერიული წნევის განსაზღვრისათვის გამოიყენებოდა ტონომეტრი, ხოლო პულსის სისწირის – წამმზომი.

სისხლის ნაკადის მოძრაობის დრო (სიჩქარე) “ფილტვ-ყურის” მონაკვეთზე განისაზღვრებოდა ოქსიჰემომეტრ “0-57”-ის დახმარებით.

ელექტროკარდიოგრაფიული კვლევები ტარდებოდა 12 განხრაში (I-II-III სტანდარტული; ერთოლუსიანი კიდურებიდან, გოლდბერგერის მიხედვით – AVR, AVL, AVF და მკერდის უნიპოლარული განხრებიდან, ვილსონის მიხედვით – V<sub>1</sub>, V<sub>2</sub>, V<sub>3</sub>, V<sub>4</sub>, V<sub>5</sub>, V<sub>6</sub>).

ბ. გარეგანი სუნთქვის ფუნქციის მანევრებლები: სუნთქვის სისწირე, მოცულობა და წუთმოცულობა; ფილტვების მაქსიმალური ვენტილაცია, შტანგესა და გენის სინჯების სიდიდეები; ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა, ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის სიმძლავრეები; ჟანგბადის შთანთქმა წუთში; არტერიული და ვენური სისხლის ჟანგბადით გაჯერება.

სს, სმ, სწმ, ფმვ, ფსტ და კშწ შეისწავლებოდა დახურული ტიპის («CF-1M» ან «Mera-1-25») მეშვეობით.

ყველა აღნიშნული მანევრებელი, პირველის გარდა, მოყვანილ იქნა აირების მოცულობებთან 0°C ტემპერატურის, 760 მმ ვწყს. ატმოსფერული წნევის და წყლის ორთქლის არარსებობის პირობებში (სტანდარტული პირობები).

სუნთქვის მოცულობის და წუთმოცულობის სიდიდეები, ფილტვის სასიცოცხლო ტევადობა, ფილტვების მაქსიმალური ვენტილაცია და ჟანგბადის შთანთქმა წუთში, მოყვანილი სტანდარტულ პირობებთან, შედარებული იქნა ი. აგაპოვის (1960) მიერ შედგენილ ცხრილებში მოცემულ ნორმალურ სიდიდეებთან.

ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის სიმძლავრეები განისაზღვრებოდა პნევმოტაქომეტრით “PII-1”, არტერიული და ვენური სისხლის ჟანგბადით გაჯერება – კოუვეტური ოქსიჰემომეტრით “0-57”. შტანგეს და გენის სინჯების სიდიდეები შეისწავლებოდა წამმზომის დახმარებით.

გ. კვლევარგომეტრიული მანევრებლები

დაკვირვებისთვის გამოიყენებოდა ველოერგომეტრი "Tunturi".

ვიყენებდით მზარდი საფეხურებრივი დატვირთვის მეთოდს. ავადმყოფებს ეძლეოდათ ორი დატვირთვა. ყოველი დატვირთვის ხანგრძლივობა შეადგენდა 3 წუთს. დატვირთვის ჩატარებამდე ავადმყოფები ეუფლებოდნენ ველოერგომეტრზე მუშაობის მეთოდს. პაერის ტემპერატურა ოთახში, სადაც ტარდებოდა ველოერგომეტრიული გამოკვლევები, მერყეობდა 20°C - 22°C-ის ფარგლებში. დატვირთვის საწყისი სიმძლავრე შეადგენდა 25 ვტ (150 კგმ/წთ). მეორე დატვირთვის სიმძლავრე შეადგენდა 50 ვტ (300 კგმ/წთ). პედალირების სიხშირე შეადგენდა 60 ბრუნვას წუთში.

ველოერგომეტრიული მანევრებლების შესწავლისას ვიყენებდით ზ. ბელოცერკოსკის (1983) რეკომენდაციებს.

ფიზიკური შრომისუნარიანობა განისაზღვრებოდა ფორმულით:

$$PWC = N_1 + (N_2 - N_1) \times \frac{F - f_1}{f_2 - f_1}, \text{ სადაც PWC არის ფიზიკური შრომისუნარიანობა,}$$

გულის შეკუმშვათა სიხშირის ასაკობრივი ცვლილებების გათვალისწინებით;  $N_1$  და  $N_2$  წარმოადგენენ I და II დატვირთვების სიმძლავრეებს;  $f_1$  და  $f_2$  წარმოადგენენ გულის შეკუმშვათა სიხშირეებს I და II დატვირთვების ბოლოს; F- გულის შეკუმშვათა ის სიხშირეა, რომელიც შეადგენს ასაკობრივი მაქსიმალური პულსის 87%-ს.

საერთო შრომისუნარიანობის და დატვირთვის ხანგრძლივობის სიდიდეებიდან გამომდინარე ვსაზღვრავდით შესრულებული სამუშაოს მოცულობას. აგრეთვე ვსაზღვრავდით არტერიული წნევის მანევრებლების სიდიდეებს I და II დატვირთვების ბოლოს. შეისწავლებოდა ფიზიკური დატვირთვის შედეგად გულის შეკუმშვათა სიხშირის და არტერიული წნევის მანევრებლების შეცვლილი სიდიდეების საწყის სიდიდეებამდე აღდგენის დრო (რესტიტუციის დრო).

ველოერგომეტრიულ გამოკვლევას ვწყვეტდით, თუ დატვირთვის დროს ავადმყოფს გამოუვლინებოდა ერთი ან რამდენიმე პათოლოგიური ცვლილება. ეს ცვლილებები იყო: ელექტროკარდიოგრამაზე 1 მმ-ზე მეტი ჰორიზონტალური ან ირიბადმაგალი ტიპის ST-სეგმენტის დეპრესიის განენა; დატვირთვის დროს გულის შეკუმშვათა სიხშირის ზრდა ამავე ასაკის ჯანმრთელი პირებისათვის დამახასიათებელი გულის შეკუმშვათა სიხშირის 80%-მდე. ამას გარდა, ველოერგომეტრიული გამოკვლევის შეწყვეტის მიზეზები იყო: მკვეთრი სისუსტე,



ძლიერი ქოშინი ან სულის ხუთვა, თავბრუსხვევა, გულისრევა, ტკივილები გულის არეში.

დ. მანვენებლები: სისხლის შრატში საერთო ქოლესტერინის, საერთო ლიპიდების, ტრიგლიცერიდების, β-ლიპოპროტეიდების და ლეციტინის შემცველობა; ქოლესტერინის რაოდენობა β-ლიპოპროტეიდებში; სისხლის პლაზმაში მალონის დიალდეჰიდის შემცველობა; კატალაზის აქტიუობა.

საერთო ქოლესტერინი განისაზღვრებოდა ილკის მეთოდით; ტრიგლიცერიდები – ფერადი რეაქციით ქრომოტროპული მჟავით; საერთო ლიპიდები – ტურბიდიმეტრული მეთოდით; β-ლიპოპროტეიდები – ბურშტეინის მეთოდით; ლეციტინი – ბლიურის მეთოდით; ქოლესტერინი β-ლიპოპროტეიდებში – ბურშტეინის მეთოდით; კატალაზის აქტიუობა – ბახის და ზუბკოვას მეთოდით. აღნიშნული ბიოქიმიური მანვენებლების განსაზღვრის მეთოდები აღებული იყო ბიოქიმიური გამოკვლევების შესაბამისი სახელმძღვანელოდან [78].

სისხლის პლაზმაში მალონის დიალდეჰიდის განსაზღვრისათვის ვიყენებდით მ. გონნარენკოს და ა. ლიტვინოვას (1985) მიერ მოწოდებულ მეთოდებს.

კარდიოკემოდინამიკის, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის, ველოერგომეტრიის და ლიპიდების ცვლის მანვენებლების ნორმებად გამოიყენებოდა შესაბამისი სიდიდეები, რომლებიც დადგენილი იქნა საქართველოს ი. კონიაშვილის სახ. კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და რეაბილიტაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და მის წყალტუბოს ფილიალში 25-დან 65 წლამდე ასაკის პრაქტიკულად ჯანმრთელ პირებზე (14 ქალი და 11 მამაკაცი) [143, 15, 8].

კატალაზის აქტიუობის და სისხლის პლაზმაში მალონის დიალდეჰიდის შემცველობის სიდიდეების ნორმები ჩვენს მიერ იყო დადგენილი 25-დან – 65 წლამდე ასაკის პრაქტიკულად ჯანმრთელ პირებზე (14 ქალი და 11 მამაკაცი).

შესწავლილი მანვენებლების მახასიათებელი ციფრობრივი სიდიდეები დამუშავებული იქნა სტატისტიკურად IBM ტიპის კომპიუტერზე (compad proliant 1500), Pentium პროცესორით, პროგრამული პროდუქტის Microsoft Excel-ის გამოყენებით. სტატისტიკური დამუშავების დროს აგრეთვე გამოყენებული იქნა სტიუდენტის კრიტერიუმები.

## 2.2. მკურნალობის მეთოდები

I ჯგუფის ავადმყოფებს უტარდებოდათ 14-15 პროცედურა ცვლადი მაგნიტური ველით – სიხშირით 50 ჰც და ინდუქციით 30 მტლ.

II ჯგუფის ავადმყოფებს უტარდებოდათ 14-15 პროცედურა ცვლადი მაგნიტური ველით – სიხშირით 50 ჰც და ინდუქციით 10 მტლ.

მაგნიტური სეანსები ტარდებოდა ყოველდღე, კვირა დღეების გარდა. ცალკეული პროცედურის ხანგრძლივობა I-II ჯგუფის ავადმყოფებისათვის შეადგენდა 14-15 წუთს.

მაგნიტოთერაპიის პროცედურების ჩასატარებლად აპარატი “მაგნიტორი” (მაგნიტოთერაპიის აპარატი AMT-01, გამოშვებული ქ. გორკის აპარატურის ქარხნის მიერ) თავსდებოდა (პაციენტის სხეულზე ზეწოლის გარეშე) გაშიშვლებული გულმკერდის წინა ზედაპირზე, გულის საპროექციო არეზე.

პროცედურების ჩატარებისას მაგნიტური ველის ძალხაზები მიმართული იყო გულის ელექტრული ღერძის პარალელურად.

მაგნიტოთერაპიული პროცედურის ზემოქმედების მიდამოს, ხანგრძლივობისა და ჩასატარებელი პროცედურების რაოდენობის განსაზღვრისათვის გამოიყენეთ ა.ი. კრუპენიკოვის რეკომენდაციები, (2003).

III ჯგუფის ავადმყოფებს ეძლეოდათ პრეპარატ ენალაპრილ – H-ის 1 ტაბლეტი, 1-2 ჯერ დღე-ღამეში. აღნიშნული მედიკამენტის დოზის განსაზღვრისას, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ვითვალისწინებდით პიოტენზიური ეფექტის გამოხატულებასა და ხანგრძლივობას.

ენალაპრილ – H წარმოადგენს კომბინირებულ პრეპარატს – ენალაპრილ მალეატს (0,005 გ) და ჰიდროქლოროთიაზიდს (0,0125 გ).

ენალაპრილ მალეატი იწვევს ანგიოტენზინგარდამქმნელ ფერმენტის ბლოკირებას, რის შედეგადაც ითრგუნება ანგიოტენზინ II-ის წარმოქმნა, რაც არტერიულ და ვენურ სისხლძარღვებს იცავს მისი შემაფიწროვებელი მოქმედებისაგან; აქვეითებს სისხლძარღვთა საერთო პერიფერიულ წინააღმდეგობას, წნევას მარჯვენა წინაგულში და სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში, პრედატვირთვისა და პოსტდატვირთვის, სისტოლურ და დიასტოლურ არტერიულ წნევას.

ჰიდროქლოროთიაზიდი ავლენს დიურეზულ მოქმედებას, აქვეითებს არტერიულ წნევას [107, 165].

მკურნალობის ეფექტურობა ფასდებოდა ყველა შესწავლილი მანევრების დინამიკის საფუძველზე.

ამასთანავე, ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეესაბამებოდა მანევრებელთა 80%-ის და მეტის ნორმალიზაციას ან გაუმჯობესებას; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება შეესაბამებოდა შესწავლილ მანევრებელთა 51%-დან 80%-მდე ნორმალიზაციას ან გაუმჯობესებას. თუ დადებით დინამიკას განიცდიდა შესწავლილ მანევრებელთა 50%-მდე ან დადებითი დინამიკა არ აღინიშნებოდა, ვთვლიდით, რომ ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეცვლილა. როდესაც შესწავლილ მანევრებელთა 50% და მეტი განიცდიდა უარყოფით დინამიკას, ვთვლიდით, რომ ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა.

მკურნალობის ეფექტურობის შორეული შედეგები შესწავლილი იქნა 6 და 12 თვის შემდეგ, კლინიკო-ანამნეზური მონაცემების საფუძველზე.

ამ დროს გამოიყენებოდა შემდეგი კრიტერიუმები:

- ა) შენარჩუნდა ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.  
ამ ჯგუფის ავადმყოფებს გამოსაკვლევ პერიოდში არ აღენიშნებოდათ არტერიული წნევის სიდიდეების პათოლოგიური მომატება. ისინი არ იღებდნენ ჰიპოტენზიურ საშუალებებს და არ ავლენდნენ ესენციური ჰიპერტენზიისათვის დამახასიათებელ ჩივილებს.
- ბ) შეუნარჩუნდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.  
ამ ჯგუფის ავადმყოფებს გამოსაკვლევ პერიოდში მართალია აღენიშნებოდათ არტერიული წნევის სიდიდეების მატება, მაგრამ შედარებით იშვიათად, ვიდრე მკურნალობის ჩატარებამდე და იოლად ხდებოდა მისი კუპირება ჰიპოტენზიური საშუალებებით. გამოსაკვლევ პირებში აღინიშნებოდა ესენციური ჰიპერტენზიისათვის დამახასიათებელი ჩივილები, მაგრამ ნაკლები ინტენსივობით გამოხატული, ვიდრე მკურნალობის ჩატარებამდე.
- გ) ჯანმრთელობის მდგომარეობა დაუბრუნდა საწყისს.  
ამ ჯგუფში შეყვანილი იქნა ავადმყოფები, რომელთაც გამოსაკვლევ პერიოდში გაუჩნდათ იგივე ჩივილები და იმავე ინტენსივობით, როგორც მკურნალობამდე, ასევე ხშირად აღენიშნებოდათ სისხლის არტერიული წნევის მატება. ავადმყოფები იმავე დოზით იღებდნენ ჰიპოტენზიურ პრეპარატებს.
- დ) ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა.

ამ ჯგუფის ავადმყოფებს გამოსაკვლევ პერიოდში უფრო ხშირად აღენიშნებოდათ წნევის პათოლოგიური მატება, ვიდრე მკურნალობამდე, გაიზარდა ჰიპოტენზიური საშუალებების გამოყენებაც.

### თავი III. საკუთარი გამოკვლევები

#### 3.1 გამოკვლეულ ავადმყოფთა კლინიკური დახასიათება

როგორც უკვე აღინიშნა, გამოკვლეულია ესენციური ჰიპერტენზიის მქონე 168 ავადმყოფი, რომლებიც მკურნალობის გამოყენებული მეთოდების მიხედვით დაყოფილი იყვნენ 3 ჯგუფად:

გამოკვლეულთაგან, ჯანმო-ს (1996) კლასიფიკაციით (world Health... 1999), 78 (46,42%-ს) აღენიშნებოდა პათოლოგიის I სტადია, ხოლო 90 (53,57%-ს) II სტადია.

I ჯგუფის პაციენტებიდან 32 (47,05%) პაციენტს მკურნალობის დაწყებამდე აღენიშნებოდა ესენციური ჰიპერტენზიის I სტადია, ხოლო 36 (52,94%-ს) II სტადია.

II ჯგუფის პაციენტებიდან, მკურნალობის დაწყებამდე, 26 (44,82%-ს) აღენიშნებოდა ესენციური ჰიპერტენზიის I სტადია, ხოლო 32 (55,17%-ს) II სტადია.

III ჯგუფის პაციენტებიდან მკურნალობის დაწყებამდე, 20 (47,61%-ს) აღენიშნებოდა ესენციური ჰიპერტენზიის I სტადია, ხოლო 22 (52,38%-ს) II სტადია.

108 (64,28%) გამოკვლეული იყო ქალი, 60 (35,71%) – მამაკაცი, 106 (63,09%) ავადმყოფი იყო 30-დან 50 წლამდე.

ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფთა გადანაწილება ჯგუფების, დაავადების სტადიების, ასაკის და სქესის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში 3.1.1.

ჩვენი გამოკვლევებით დადგინდა გარკვეული დამოკიდებულება პათოლოგიის სტადიასა და ავადმყოფთა ასაკს შორის.

კერძოდ, გამოკვლეულთა შორის, რომელთა ასაკიც 30 წელზე ნაკლები იყო, 18 (10,71%-ს) აღენიშნებოდა ესენციური ჰიპერტენზიის I სტადია, ხოლო 5 (2,97%-ს) პათოლოგიის II სტადია.

50 წლის და მეტი ასაკის გამოკვლეულთაგან 28 (16,66%-ს) აღენიშნებოდა დაავადების II სტადია და მხოლოდ 11 (5,54%-ს) პათოლოგიის I სტადია.

ესენციური ჰიპერტენზიით დაავადებულთა ასაკსა და სტადიებს შორის ანალოგიურ დამოკიდებულებას აღნიშნავენ სხვა ავტორებიც [121, 123].

ანამნეზური მონაცემების თანახმად, 108 (64,28%) გამოკვლეული ავადმყოფი დაავადების დაწყებას უკავშირებს ხშირ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გადაძაბვას, 49 (29,16%) – მემკვიდრულ წინასწარგანწყობას.

ცხრილი 3.1.1

ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფთა განაწილება ჯგუფების, პათოლოგიის სტადიის, ასაკისა და სქესის მიხედვით

ავადმყოფების ჯგუფები	პათოლოგიის სტადია	ასაკი						სქესი			
		30 წლამდე		30 წლიდან 50 წლამდე		50 წლის ზევით		მდედრობითი		მამრობითი	
		ავადმყოფთა რაოდენობა									
		აბს.	%%	აბს.	%%	აბს.	%%	აბს.	%%	აბს.	%%
I ჯგუფი (n=68)	I (n=32)	7	21,87	22	68,75	3	9,37	21	65,62	11	34,37
	II (n=36)	2	5,55	23	63,88	11	30,55	23	63,88	13	36,11
II ჯგუფი (n=58)	I (n=26)	6	23,07	18	69,23	2	7,69	17	65,38	9	34,61
	II (n=32)	2	6,25	20	62,50	10	31,25	20	62,50	12	37,50
III ჯგუფი (n=42)	I (n=20)	5	25,00	9	45,00	6	30,00	13	65,00	7	35,00
	II (n=22)	1	4,54	14	63,63	7	31,81	14	63,63	8	36,36

II (6,54%) ავადმყოფში ესენციური ჰიპერტენზიის წარმოშობის მიზეზის დადგენა, ანამნეზური მონაცემებით, ვერ მოხერხდა.

დაავადების დაწყებასა და პროგრესირებაში ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გადაძაბვას, მემკვიდრულ წინასწარგანწყობას მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ სხვა ავტორებიც [24, 210, 91, 216].

აღსანიშნავია, რომ ესენციური ჰიპერტენზიის 68 (40,47%) ავადმყოფს აღენიშნებოდა ჭარბი წონა, 46 (27,38%) ეწეოდა სივარეტს, ხოლო 72 (42,85%) მისდევდა ნაკლებად მოძრავ ცხოვრების წესს.

არტერიული ჰიპერტენზიის, ესენციური ჰიპერტენზიის განვითარებაში მკვლევარები მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ ზემოთ აღნიშნულ რისკ-ფაქტორებს. [184, 106, 86]

ჩვენს მიერ გამოკვლეულ პაციენტთა უმრავლესობას (95 პაციენტი), მკურნალობის დაწყებამდე აღენიშნებოდა გულის უკმარისობა.

თანმსვლელები გულის უკმარისობით ავადმყოფთა რაოდენობა იზრდებოდა ესენციური ჰიპერტენზიის დამძიმების შესაბამისად.

კერძოდ, მკურნალობის დაწყებამდე, გულის უკმარისობა გამოვლინდა პათოლოგიის I სტადიის მქონე 32 (19,04%), ხოლო დაავადების II სტადიის მქონე 63 (37,50%) გამოკვლეულში.

ესენციური ჰიპერტენზიის დამძიმების შესაბამისად აღინიშნებოდა გულის უკმარისობის პროგრესირებაც. კერძოდ, მკურნალობის დაწყებისას, პათოლოგიის I სტადიისას, ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაციით გულის უკმარისობის I ფუნქციური კლასი გამოუვლინდა I ჯგუფის 14 (43,75%), II ჯგუფის 10 (38,46%), III ჯგუფის 8 (40%) ავადმყოფს.

ესენციური ჰიპერტენზიის II სტადიის დროს, გულის უკმარისობის I ფუნქციური კლასი აღენიშნებოდა I ჯგუფის 16 (44,44%), II ჯგუფის 14 (43,75%), III ჯგუფის 10 (45,45%) ავადმყოფს.

გულის უკმარისობის II და III ფუნქციური კლასი გამოუვლინდა მხოლოდ პათოლოგიის II სტადიის მქონე ავადმყოფებს. კერძოდ, გულის უკმარისობის II ფუნქციური კლასი, მკურნალობის დაწყებამდე, ესენციური ჰიპერტენზიის II სტადიის დროს აღენიშნებოდა I ჯგუფის 5 (13,88%), II ჯგუფის 6 (18,75%), III ჯგუფის 4 (18,18%) ავადმყოფს.

გულის უკმარისობის III ფუნქციური კლასი, ჯგუფების შესაბამისად, ასე გადაწილდა – 3 (8,33%); 3 (9,37%) და 2 (9,09%) გამოკვლეულში.

ავადმყოფთა ნაწილს მკურნალობის დაწყებისას აღენიშნებოდა თანმსვლელები დაავადებები. კერძოდ, 26 (15,47%) გამოკვლეულს აღენიშნებოდა გ.ი.დ, სტაბილური სტენოკარდია I-II ფუნქციური კლასის (კანადის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაციით). 5 (2,97%-ს) – პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი (მიოკარდიუმის ინფარქტის გადატანიდან 6 ან მეტი თვის შემდეგ), 4 (2,38%-ს) ქრონიკული არაკალკულოზური ქოლესტისტიტი.

### 3.2. ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფთა დაბალი სისწირის ცვლადი მაგნიტური ველით მკურნალობის ზეგავლენა კლინიკურ მდგომარეობაზე

ესენციური ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფები მკურნალობის დაწყებისას წარმოდგენდნენ სხვადასხვა ჩივილებს, რომელთა სისწირე და ინტენსივობა პროგრესირებდა პათოლოგიის დამძიმების შესაბამისად. ამავე დროს, რიგი ჩივილების ხასიათი დამოკიდებული იყო პათოლოგიის სტადიაზე.

ეკრძოდ, ესენციური ჰიპერტენზიის I სტადიის მქონე ავადმყოფებს აღენიშნებოდათ ტკივილის აღმოცენება გულის არეში, გულის ფრიალი და სწრაფი დაღლა არა მარტო ფიზიკური დატვირთვისას, არამედ ჩვეული ფიზიკური დატვირთვის გადაშტეტებისას.

გამოკვლევულთა უმეტესობას პათოლოგიის II სტადიით, ასევე აღენიშნებოდათ აღნიშნული პათოლოგიური სიმპტომების გამოვლენა ფიზიკურ დატვირთვაზე, რომელიც აჭარბებდა ჩვეულს. დაავადების II სტადიის მქონე ავადმყოფთა ნაწილს აღენიშნებოდა ტკივილი გულის არეში, გულის ფრიალი და სწრაფი დაღლა ჩვეული ფიზიკური დატვირთვისას, ასევე ზოგჯერ აღენიშნებოდათ გულის უკმარისობის II ან III ფუნქციური კლასი.

ესენციური ჰიპერტენზიის I სტადიისას, მკურნალობის დაწყებამდე, ჩივილები ხშირ თავის ტკივილზე აღენიშნებოდა 30 (93,75%) ავადმყოფს I ჯგუფიდან, ხოლო 24 (92,30%)-ს II ჯგუფიდან; ჩივილები ხშირ თავბრუსხვევაზე, შესაბამისად ჯგუფებისა, 28 (87,50%) და 22 (84,61%)-ს; ყურებში შუილზე – 18 (56,25%) და 14 (53,84%)-ს; ფიზიკური დატვირთვისას გულის არეში ტკივილზე, რომელიც აჭარბებდა ჩვეულს – 14 (43,75%) და 10 (38,46%)-ს; გულის ფრიალზე ფიზიკური დატვირთვისას, რომელიც აჭარბებდა ჩვეულს – 8 (25,00%) და 9 (34,61%)-ს; ძილის დარღვევაზე 12 (37,50%) და 10 (38,46%)-ს; ადვილად აგზნებადობაზე 6 (18,75%) და 5 (19,23%)-ს; ფიზიკური დატვირთვისას სწრაფ დაღლაზე, რომელიც აჭარბებდა ჩვეულს – 12 (37,50%) და 10 (38,46%)-ს; ზოგად სისუსტეზე – 12 (37,50%) და 10 (38,46%)-ს.

მკურნალობის დაწყებამდე, დაავადების II სტადიისას, ჩივილებს ხშირ თავის ტკივილზე აღნიშნავდა 36 (100%) ავადმყოფი I ჯგუფიდან, 32 (100,00%) – II ჯგუფიდან. ჩივილები ხშირ თავბრუსხვევაზე, ჯგუფების მიხედვით, ასე განაწილდა – 34 (94,44%) და 29 (90,62%); ყურებში შუილზე – 26 (72,22%) და 23 (71,87%); გულის არეში ტკივილზე ფიზიკური დატვირთვისას, რომელიც



